

**მებოცვრეობა** — მეცხოველეობის დარგი, რომლის დანიშნულებაც ბოცვრების მოშენებაა. მებოცვრეობის ძირითადი პროდუქტებია ხორცი, ტყავი, თივთიკი.

მებოცვრეობა განვითარებულია :

საფრანგეთში, იტალიაში, აშშში, ინგლისში, უნგრეთში, პოლონეთსა და ბულგარეთში. აგრეთვე რუსეთში, უკრაინასა და მოლდოვაში.

საქართველოში მებოცვრეობის განვითარება 1970-იანი წლებიდან დაიწყო. 1975 წ -თვის მებოცვრეობის ფერმები და სანაშენე მეურნეობები 35-ს აღწევდა, სადაც 12 000 დედა ბოცვერი იყო. კარგად იყო მოწყობილი მებოცვრეობის კუმისის სანაშენე მეურნეობა და ბებნისის სანაშენე ფერმა. მოშენებული იყო რუხი გოლიათის, შინშილასა და თეთრი გოლიათის ჯიშის ბოცვრები.

1989 წელს ბოცვრის სულადობა შეადგენდა 350 ათასს..

მაგრამ 1990-იანი წლებიდან სრულად განადგურდა მებოცვრეობის მატერიალურ- ტექნიკური ბაზა. ამჟამად მებოცვრეობა გავრცელებულია საოჯახო მეურნეობებში.

დღეისათვის ინტენსიურადაა დაწყებული ამ დარგით ფერმერთა დაინტერესება, და ეტაპობრივად იზრდება ბოცვრის ხორცის მოთხოვნა სამომხმარებლო ბაზარზე.

**კურდელი და ბოცვერი - დახასიათება:**

მიუხედავად კურდელის და ბოცვრის ერთმანეთის მსგავსებისა, ეს ორი ცხოველი მაინც

განსხვავდება ერთმანეთისგან. განსხვავება არის მათი ხასიათის მიხედვითაც. კურდელს არ გააჩნია კონკრეტული საცხოვრებელი ტერიტორია და ეწევა მომთაბარე ცხოვრებას,

ხოლო ბოცვერი პირიქით \_ თხრის სოროს და და თანდათან უმატებს დამატებით სათავსებს, რომ მოხერხებულად მოკალათდეს.

სხვაობაა აგრეთვე მათ გამრავლებაშიც, კურდელის ბაჭიები უფრო დამოუკიდებელი და სიცოცხლისუნარიანები არიან და დაბადებისთანავე დამოუკიდებლად თვითონ იკვებებიან.. ახალდაბადებული ბოცვერი კი უფრო უსუსურია და მასზე დედა ბოცვერი ზრუნავს.

გარდა ამისა კურდელეები და ბოცვრები ერთმანეთში არ ჯვარდებიან.

კურდელისა და ბოცვრის ხორცი მსოფლიოში ყველაზე დიეტურ ხორცად ითვლება. იგი მცირე რაოდენობით შეიცავს ქოლესტერინს, ვიდრე საქონლის ან ღორის ხორცი, 25მგ- 100გ-ში.

ის აგრეთვე მდიდარია მინერალებით, ვიტამინებითა და სხვა სასარგებლო ელემენტებით.

ზემოაღნიშნული სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე კურდელისა და ბოცვრის ხორცი მრავალი დაავადების (გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ენდოკრინოლოგიური დარღვევების და სხვ.) შემთხვევაში ნებადართულია ავადმყოფებისათვის საკვებად გამოსაყენებლად, ასევე ბოცვრის ხორცი ევროპაში მაღალი პოპულარულობით სარგებლობს ზავშვთა კვებაში.

**ბოცვრების ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური თვისებები:**

ბოცვრები გამოირჩევიან მთელი რიგი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებებით: ნაყოფიერება, სწრაფად მომწიფება, სასქესო ციკლის სეზონურობის არარსებობა და სხვ., რომელთა ცოდნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბოცვრების სწორი გამოყენებისა და მათ ორგანიზმში ზოგიერთი პათოლოგიური პროცესის განვითარების გაგებისათვის.

ბოცვრების ნაყოფიერება ძირითადად დამოკიდებულია კვებისა და შენახვის თავისებურებებზე, ცხოველის ინდივიდუალურ თვისებებზე, რომლებიც გადაეცემა მემკვიდრეობით

მსხვილი ჯიშის ბოცვრები, ჩვეულებრივ, ნაკლებად ნაყოფიერნი არიან).მდედრები შობენ (6-12), ზოგჯერ (16-19) ბაჭიას ერთ მოგებაზე.

მაკეობის პერიოდი მდედრ ბოცვრებში (30-32) დღეა, ნაყოფების განვითარება მუცლადყოფნისას ხდება ძალიან სწრაფად, მე-13 დღეზე შეიძლება მათი მოსინჯვა მუცლის კედლიდან, მე-16 დღეს ნაყოფები მოძრაობას იწყებენ, 30-ე დღისათვის (დაბადების მომენტისათვის) თითოეული ბაჭიის წონა შეადგენს (40-90)გ-მდე, მათი რაოდენობის, ჯიშისა და დედის კვების პირობების მიხედვით.

ლაქტაციის პერიოდი მდედრ ბოცვრებში, მათთან ერთად ბაჭიების შენახვისას, გრძელდება ორ თვეზე მეტხანს. ამ დროს გამოყოფილი რძის რაოდენობა მე-20 დღემდე მატულობს, შემდეგ კი იკლებს, განსაკუთრებით მკვეთრად 30-ე დღის შემდეგ.

ბოცვრები გამოირჩევიან ადრეული განვითარებით—სწრაფი ზრდისა და ადრეული სქესობრივი მომწიფების უნარით. ბაჭიები დაბადებისას არიან შიშვლები და უსინათლონი, აქვთ 16 კბილი; მე-(5-7) დღეს იმოსებიან გარეგანი საფარველით, მე-(10-14) დღეს აეხილებათ თვალი, მე-(17-20) დღეს იწყებენ ბუდიდან გამოსვლასა და საკვების მიღებას.

მე-18 დღიდან ეწყებათ კბილების ცვლა, ძირითადი სარძევე კბილები ეცვლება მე-(20-28)-ე დღეს. სიცოცხლის პირველ 6 დღეში ბაჭიების ცოცხალი წონა იზრდება ორჯერ, მე-10 დღისთვის—3-ჯერ, მე-20 დღისთვის—(5-6)-ჯერ, 30-ე(9 -10)-ჯერ და აღწევს საშუალო ჯიშებში (400-500), მსხვილებში—( 600-700) გ-ს.( 29-30)-ე დღეს შეიძლება ბოცვრების ასხლეტვა.

ბოცვრების სხეულის ყველაზე ინტენსიური ზრდა ხდება 4 თვის ასაკამდე, რომლისთვისაც ისინი თითქმის აღწევენ ზრდასრულების ზომას (85%-მდე).

სქესობრივ სიმწიფეს საშუალო ჯიშების ბოცვრები აღწევენ (3-3,5), მსხვილი ჯიშებისა—(3,5-4) თვის ასაკში. თუმცა მათი გამოყენება აღწარმოებისათვის ამ ასაკში იწვევს მათი ზრდის შეფერხებასა და სუსტი შთამომავლობის მიღებას.

### **ბოცვრის ჯიშები-დახასიათება:**

მსოფლიოში ბოცვრის სახორცე, საბეწვე და დეკორატიული მიმართულების 100-მდე ჯიშია გამოყვანილი. საქართველოში გავრცელებულია, ძირითადად, სახორცე ჯიშები: თეთრი გოლიათი, კალიფორნიული, ახალზელანდიური თეთრი, ნაცრისფერი გოლიათი და სხვ.

- **თეთრი გოლიათი**

ეს ჯიში გამოყვანილ იქნა ბელგიასა და გერმანიაში XIX საუკუნის ბოლოს. ზრდასრული ბოცვრის წონა 4,5კგ – 5,1კგ აღწევს. ტანის სიგრძე 60 სმ-ია, გულ-მკერდის შემოწერილობა 37სმ.

სახორცე მიმართულებით სასაკლაო წონაზე ადის სამი თვის ასაკში და აღწევს 2.6 კგ-ს. ცოცხალ წონას, ხორცის გამოსავალი აღწევს 54%-ს. იძლევა 7-8 ბაჭიას.

- **ახალზელანდიური თეთრი**

ეს ჯიში გამოიყვანეს ამერიკაში. გამოირჩევა მაგარი კონსტრუქციულობით, წვრილი ძვლით, მაღალი მეხორცეულობით, საშუალო თავით, მოკლე, თხელი ყურებით, სწორმდგომი; მკერდი ღრმა და ფართო, წელი–განიერი; ფეხები მსხვილი და მაგარი; თათები–მასიური, ბეწვი–ხშირი; შობადობა–(6- 10) ბაჭია, წონა–(4,5-5)კგ-მდე.

სასაკლაო წონაზე ადის სამი თვის ასაკში და აღწევს 2.7კგ ხორცის გამოსავალი 58%.

- **კალიფორნიული**

ეს ჯიში გამოიყვანეს ამერიკაში შინშილასა და ახალზელანდიურის შეჯვარებით.

ეს ჯიში გამოირჩევა მსუბუქი ძვლებითა და მაღალი მეხორცეულობით, საშუალო თხელი ყურებით, განიერი მენჯის ძვლებით. მოითხოვს კარგ ზოოჰიგიენურ პირობებს.

სასაკლაო წონაზე ადის სამი თვის ასაკში და აღწევს 3 კგ-ს. ხორცის გამოსავალი 52%.

- **ნაცრისფერი გოლიათი**

ამ ჯიშს გარე შეფერილობა აქვს ნაცრისფერი მოწითალო ფერის. კარგად ეგუება გარემო პირობებს. შობადობა (7-8) ბაჭია, ხასიათდება უხვრ- ძიანობით, წონა 5კგ-მდე, ტანის სიგრძე (60-62) სმ-ია. მკერდის გარშემოწერილობა–38სმ. წონა აღწევს 7კგ-ს. ხორცი–60%; ხასიათდება მასიური მაგარი ყურებით, ტანი გრძელი და მომრგვალო, ბეწვი ნაკლებად ხშირი აქვს.

სასაკლაო წონაზე ადის სამი თვის ასაკში და აღწევს 2.8კგს. ხორცის გამოსავალი 60%.

### **ბოცვრის სადგომი**

ბოცვრის სადგომი–ბოცვრის ფერმერული მეურნეობის დაგეგმარების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ფაქტორები: გარემო პირობები (ტემპერატურა, ტენიანობა, ქარის მასების მოძრაობა), იზოლირება სხვა ფერმერული მეურნეობებისგან.

ბოცვრის გამოზრდა სასურველია კაპიტალურ ნაგებობაში, სადაც გამართული უნდა იყოს სავენტილაციო სისტემა, მოწყობილი უნდა იყოს ლითონის უჟანგავი კონსტრუქციები (გალიები), ნაკელის გამტანი დანები; გამართული უნდა იყოს დასარწყულებელი ნიპელური სისტემები, დამონტაჟებული ლითონის საკვებურები.

ფერმაში ზამთრის პერიოდში ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურაა (15- 17)°C , ხოლო ტენიანობა (50-60)%.

- **ბოცვრის გალიის სტანდარტი:**

სიგრძე–90სმ, სიგანე–70სმ, სიმაღლე–45სმ.

- **საბაჭიე ხის ყუთის ზომები:**

სიგრძე – 50სმ, სიგანე–30სმ, სიმაღლე–15სმ.

### **ბოცვრის კვება**

ბოცვერი მიეკუთვნება მცენარეული საკვებით მკვებავ ცხოველთა ჯგუფს. ბოცვრის კვებაში ძირითადი ადგილი უკავია ბალახეულ კულტურას (იონჯა, ესპარსეტი) და სწორად დაბალანსებულ კომბინირებულ საკვებ კონცენტრატს.

ბოლო პერიოდში წარმატებით გამოიყენება სრულფასოვანი გრანულირებული საკვები, რომლის შემადგენლობაშიც შედის დაახლოებით (15-17)% მშრალი პროტეინი, ვიტამინები, ამინომჟავები, მიკრო და მაკროელემენტები.

გრანულირებული საკვებით ბოცვრის კვება მისაღებია ფერმაში შრომითი ხარჯების შესამსუბუქებლად და დანაკარგის მინიმალურამდე შესამცირებლად. ხშირად ფერმერები ეკონომიის მიზნით თავად ამზადებენ კომბინირებულ საკვებს, რომელიც 20%-ით უმცირებთ ხარჯებს. ასეთი საკვების ღირებულება (0.7-0.9) ლარს შეადგენს.

• **10კგ. კომბინირებული საკვების მოსამზადებლად საჭიროა:**

ქერი – 3.5კგ, სიმინდი – 2.5კგ, ქატო – 1კგ, ხორბალი –1.6კგ, სოიის შროტი – 0.7კგ, მზესუმზირის კოპტონი – 0.7კგ, დიკალციფოსფატი –50გრ, განასუპერვიტი – 10გრ, ზეთი – 100 მლ.

რაც შეეხება მწვანე მასის საკვებად გამოყენებას, ზაფხულის პერიოდში აუცილებელია ბალახის ჩრდილში გაშრობა არანაკლებ 24-საათისა, ნედლი ან სველი ბალახის საკვებად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს კვებით ინტოქსიკაციას, ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობას.

ზამთრის პერიოდში საუკეთესო საკვებად ითვლება ხმელი თივა, რომელიც მოთიბული და დაპრესილი უნდა იყოს აგროვადების მკაცრი დაცვით.

**მოზარდი ბაჭის დღიური კვების ნორმა**

თივა( 50 -200)გ-მდე; წვნიანი საკვები (150-300)გ-მდე; კონც. საკვები (30-50) გ.

**ბოცვრის წლიური მოთხოვნა საკვებზე კგ-ში სულ**

ჯგუფები	კონსენტრატი	თივა	ქირხვენი	ბალახი	გარილი
დედალი	30.40	38.2	44.21	45	1.5
მამალი	20.2	30.9	30.8	94.6	1.5
მოზარდი	7.8	5.2	4.5	40.0	0.05

**ბოცვრის დაავადებები**

**ინფექციური სტომატიტი (სველი ცხვირი)** – აღმძვრელი ვირუსი. ავადდება, ძირითადად, მოზარდი ბაჭია ასხლეტვის (20-25)-დღიდან 2 თვემდე. საინკუბაციო პერიოდი (2-4)დღეა. ზრდასრული ბოცვრები იშვიათად ავადდებიან. დაავადებას არ აღენიშნება სეზონურობა.

დასნებოვნების წყაროს წარმოადგენს ავადმყოფი ცხოველი. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს შენახვის ანტისანიტარიული პირობები, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებები, მომატებული ტენიანობა, ბოცვრების მჭიდრო შენახვა.

**კლინიკური ნიშნები** – დაავადების დასაწყისში აღინიშნება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სიწითლე, შემდეგ ენაზე ჩნდება თხელი მოთეთრო აფთები, რომლებიც ერთმანეთს ერწყმის და ქმნის მთლიან ნადებს, ნორმალური ლორწოვანასგან გამოყოფილს მოწითალო არშიით. შემდგომში ენაზე წარმოიქმნება წყლულები. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებას თან სდევს ჭარბი ნერწყვდენა.

**პროფილაქტიკა და მკურნალობა** – ავადმყოფ ცხოველებს უტარებენ იზოლაციას, გალიებსა და ინვენტარს უტარებენ დეზინფექციას იოდზეფის ხსარით 1:50 (100მლ-5ლ წყალთან განზავებით). ავადმყოფ ბოცვრებს მკურნალობენ (3-5)დღის განმავლობაში პრეპარატი პენბექსის ან ამოქსაცილინის 15%-იანი საინექციო ხსნარით. დოზა 1მლ-10კგ ცოცხალ წონაზე გაანგარიშებით.

**მიქსომატოზი**-აღმძვრელია ვირუსი. მიქსომატოზისადმი მგრძნობელნი არიან გარეული და შინაური ბოცვრები. ინფექციის წყაროს წარმოადგენენ მიქსომატოზით დაავადებული და დაავადებაგადატანილი ბოცვრები და კურდღლები.

დაავადების აფეთქებები უფრო ხშირად აღინიშნება ზაფხულში და შემოდგომაზე. ვირუსის ძირითადი გადამტანებია მწერები (კოლოები, მოსკიტები) და ექტოპარაზიტები (ტილები, რწყილები, ტკიპები). ინკუბაციის პერიოდი 2-20 დღეა.

**კლინიკური ნიშნები** – დაავადება მიმდინარეობს ორი ფორმით: კლასიკური (შეშუპებითი) და კვანძოვანი (ატოპური). ამ დროს ვლინდება ორმხრივი კონიუნქტივიტი, ვლინდება ჩირქოვანი გამონადენი ცხვირის ღრუდან (რინიტი). თავზე, მკერდზე, ზურგზე უჩნდებათ შეშუპებები, რომლებიც ერთმანეთს ერწყმის და ბოცვრებს აძლევს მახინჯ ფორმას (გასივებული თავი, ყურები). დაავადება გრძელდება (4-10) დღეს და, ჩვეულებრივ, მთავრდება სიკვდილით. სხეულის ტემპერატურა მატულობს (40-41,5)°C-მდე.

**პროფილაქტიკა და მკურნალობა** – მიქსომატოზის პროფილაქტიკისთვის აუცილებელია ჩატარდეს ვაქცინაცია, რომელიც იწყება ერთი თვიდან და უტარდება ყველა ბოცვრს. ვაქცინაციისთვის გამოიყენება კონზინირებული (მიქსომატოზი და ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემია) ცოცხალი ვირუსვაქცინა „მიქსოჰემოვიროვაკი“, დოზა 0,5მლ სულზე, ინექცია კუნთში ან კანქვეშ, რევაქცინაცია უტარდებათ სადედე გუნდსა და მამლებს წელიწადში ორჯერ. სახორცე ხაზის მოზარდი იცრება ერთჯერ. მკურნალობა მიქსომატოზის დროს შემუშავებული არ არის.

**პრაქტიკული რჩევები:**

- ბოცვრებს უნდა ჰქონდეს: სუფთა, მშრალი და ორპირი ქარისგან დაცული ადგილი;
- 3-5 კარგი მერძეული დედისგან შეგიძლიათ მიიღოთ 320კგ წონის 100-მდე მოზარდი;
- უნდა ვერიდოთ ნათესაურ შეწყვილებას;

- ადრე გაზაფხულის ბაჭია ყოველთვის უფრო სიცოცხლისუნარიანია;
- დედალი ბოცვერი უმჯობესია, შევაჯვაროთ 5-6 თვის ასაკში;
- შეწყვილების დროს დედალი ბოცვერი უნდა ჩავუსვათ მამალს და არა—პირიქით;
- შეწყვილების დროს გალიიდან უნდა ამოვიღოთ ყველანაირი ინვენტარი;
- დაგრილებიდან 5-6 დღის შემდეგ განმეორებით ისევ ვსვამთ მამალთან გადასამოწმებლად;
- დაბაჭიანებამდე 5-6 დღით ადრე უნდა ჩავუდოთ გალიაში საბაჭიე ყუთი;
- მრავალი დაბაჭიანების დროს უნდა ჩავდგათ ორი ბუდე და ბაჭიები გადავანაწილოთ;
- დაბაჭიანების დროს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დედა ბოცვერს წყალი;
- არა არის რეკომენდებული მწვანე მასის გამოშრობის გარეშე მიცემა;
- სალოკი მარილი უნდა ეძლეოდეს მუდმივად;
- ბოცვერისათვის სასარგებლოა: ნაცარქათამა, მრავალძარღვა, ჭანგა, აბზინდა, გრაკლა;
- საკვებად უვარგისია: ყაყაჩო, კრაზანა, მდოგვი, ანწლი;
- პური ეძლევა გამხმარი სახით;
- წიწვოვანი ტოტები ეძლევა ოქტომბრიდან მარტამდე 1 სულს 100-200 გ.;
- ბოცვერის ნაკელი გამოიყენება სასუქად;
- აუცილებელია ბოცვერის დამუშავება წელიწადში 3-ჯერ შინაგან პარაზიტებზე (ჰელმინთები).

**მეზოცვერების ძირითადი პროდუქტებია: ხორცი, ტყავი, თივთიკი.**

კურდღლისა და ბოცვერის ხორცი მსოფლიოში ყველაზე დიეტურ ხორცად ითვლება. იგი მცირე რაოდენობით შეიცავს ქოლესტერინს, ვიდრე საქონლის ან ღორის ხორცი, 25მგ- 100გ-ში. ის აგრეთვე მდიდარია მინერალებით, ვიტამინებითა და სხვა სასარგებლო ელემენტებით.

ზემოაღნიშნული სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე კურდღლისა და ბოცვერის ხორცი მრავალი დაავადების (გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ენდოკრინოლოგიური დარღვევების და სხვ.) შემთხვევაში ნებადართულია ავადმყოფებისათვის საკვებად გამოსაყენებლად, ასევე ბოცვერის ხორცი ევროპაში მაღალი პოპულარულობით სარგებლობს ბავშვთა კვებაში.

**100 გრ ბოცვერის ხორცის კვებითი ღირებულება: კალორიულობა-183 კკალ**

ცილები-	21,2 გრ
ცხიმები -	11,0 გრ
ნახშირწყლები-	0,0 გრ
საკვები ბოკო-	0,0 გრ
წყალი-	67,0გრ

**საბაზრო მდგომარეობა**

- **ბოცვრის ხორცი**

ბოლო პერიოდში ბოცვრის ხორცზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა მსხვილ სუპერმარკეტებსა და ჰიპერმარკეტებში, ასევე სარესტორნე ქსელში.

(2015 წლის მდგომარეობით), მხოლოდ მარკეტების ქსელებში ყოველთვიურად 300-400კგ ნედლი ხორცის რეალიზაცია ხდებოდა, თუმცა შესაძლებელი იყო ამ ციფრის არანაკლებ სამჯერ გაზრდა, ვინაიდან ხორცის მოთხოვნა უფრო მეტი იყო, ვიდრე მიწოდება.

პრობლემას ქმნიდა ის რომ იყო არაორგანიზებული მიწოდება, ხორცის დაბალი პოპულარიზაცია და ცნობადობა.

ბოცვრის გამოზრდის პერიოდი უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე და არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, ამ პერიოდისთვის ცოცხალი წონა აღწევს (2.5-3)კგ-ს, საიდანაც სუფთა ხორცის გამოსავალი შეადგენს (1.4-1.8)-კგ-ს.

1კგ ბოცვრის ხორცის თვითღირებულება შეადგენს (11-12)-ლარს (კომბინირებული საკვები, თივა, ვაქცინაცია და სხვა ხარჯები), რაც შეეხება სარეალიზაციო ფასს, მარკეტებსა და სარესტორნე ქსელებში დამოკიდებულია ბაზარზე და მერყეობს (14-15) ლარამდე.

### **ბეწვისა და ტყავის რეალიზაცია—საქართველოში**

ბოცვრის ტყავის და ბეწვის გადასამუშავებელი საწარმო არ არსებობს, ამიტომ ამ მიმართულებით ბიზნესით არავინ ინტერესდება. თუმცა შეიძლებოდა მისი საექსპორტო პოტენციალის გამოყენება.

მეზობელ თურქეთში ერთი ბოცვრის ტყავის სარეალიზაციო თანხა (2.5-3.5) ლარამდეა..

მნიშვნელოვანია სასაკლაოს მოწყობა. ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ფარგლებში განისაზღვრა შესაბამისი წესი, რომელსაც ფერმერი უნდა გაეცნოს. დაუშვებელია კუსტარულად მოწყობილ სასაკლაოზე ცხოველის დაკვლა, უნდა მოხდეს დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარული შემოწმება შესაბამისი ჯანმრთელობის ნიშანდებით.

### **ბოცვრის ხორცის შენახვის ვადები-ГОСТ 27747-2016-ის თანახმად:**

1.გაცივებული ბოცვრის ხორცის რეკომენდირებული შენახვის ვადა და შენახვის პირობები სამაცივრე კამერაში:

**(მინუს 1,5 დან - პლიუს 4)°CT -ზე ჩათვლით-**

-მთლიანი ტანით -არა უმეტეს 5 დღე.

-ტანის ნაწილები- არა უმეტეს 2 დღე მისი დამუშავებიდან.

2. რეკომენდირებული შენახვის ვადა გაყინული ბოცვრის ხორცისა, მისი დამუშავების დღიდან:

**-არა უმეტეს (მინუს 12°)CT ზე:**

-მთლიანი ტანით მომხმარებლო შეფუთვით არა უმეტეს 8 თვე.

-ჯგუფური შეფუთვით-არა უმეტეს 4 თვე.

-ტანის ნაწილები- არა უმეტეს 1 თვე

-არა უმეტეს (- 18°)CT ზე:

--მთლიანი ტანით მომხმარებლო შეფუთვით არა უმეტეს 12 თვე.

-ჯგუფური შეფუთვით-არა უმეტეს 8 თვე.

--ტანის ნაწილები- არა უმეტეს 3 თვე.

-არა უმეტეს (- 25°)CT ზე:

--მთლიანი ტანით მომხმარებლო შეფუთვით არა უმეტეს 14 თვე.

-ჯგუფური შეფუთვით-არა უმეტეს 11 თვე.